ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 1523139001**

თარიღი:**19/05/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)“-ის განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის პირველი, მე-3 და მე-7 პუნ-ქტების საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელით, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KFW) და საქართველოს მთავრობას (წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით) შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების („ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)“ - (BMZ-No. 2021 70 306) ფარგლებში, 53 000 000 (ორმოცდაცამეტი მილიონი) ევროს ოდენობით მიღების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი